

თბილისი

11.09.2020

მოგესალმებით ბატონო ხვიჩა,

გაცნობებთ, რომ უახლოეს დღეებში ვაპირებთ ივნის-ივლისის თვეების შესრულებული სამუშაოს კორექტირებას და წარდგენას ჩვენი შეხვედრის შემდგომ თქვენგან მიღებული შესაბამისი დადგენილების განმარტების მიხედვით. ამასთან დაკავშირებით გვაქვს წინადადება - თხოვნა, რომელსაც ქვემოთ მოგახსენებთ.

როგორც შეხვედრის დროს ავღნიშნეთ, ჩვენს (და ჩვენი კოლეგების უმრავლესობის) მიერ დადგენილება აღიქმებოდა სხვაგვარად - ჩვენი ბიზნეს მოდელი შედგენილი იყოს 100 ლარის სახარჯ მასალებსა და ამ სახარჯი მასალების შესყიდვა / ლოჯისტიკაზე დახარჯული პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯების, ინფრასტრუქტურული ხარჯების, ტექნიკის ამორტიზაციის და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

ამჟამად, იმისათვის, რომ ჩვენმა დაწესებულებამ შესძლოს ამ სერვისის შეუფერხებლად და მდგრადად მიწოდება პაციენტებისათვის, ვინაიდან დადგენილებაში არსად არის განმარტებული რა არის მოაზრებული "ტესტის სისტემების" განსაზღვრების ქვეშ, გთხოვთ "ტესტ სისტემების" ღირებულებაში რეაგენტისა და საექსტრაქციო ნაკრების გარდა განიხილოთ ისეთი კონკრეტული პირდაპირი ხარჯები როგორიცაა სინჯარები, ბუნიკები, პლანშეტი, ეპენდორფი, ბაზილა, ხალათი და სხვა (რეაგენტისა და საექსტრაქციო ნაკრების გარდა). ვთვლით, რომ აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ აღნიშნული ხარჯები შევიდეს ტესტის სისტემებითან დაკავშირებულ ფაქტიურ ხარჯებში და არა მომსახურების გაწევის ფიქსირებულ ტარიფში, რომელიც ივნის - აგვისტოში წარმოადგენდა 50ლარს, ხოლო 27 აგვისტოდან წარმოადგენს 30ლარს.

გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

პატივისცემით,

გიორგი რამიშვილი

